

5 – 9 სექტემბერს ბათუმში, სასტუმრო „ინტურისტ პალასში“ ჩატარდა კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრის მიერ ორგანიზებული II საერთაშორისო სტუდენტური საზაფხულო სკოლა თემაზე - ეროვნული და შედარებითი კონსტიტუციური სამართლის დილემები. საზაფხულო სკოლაში მონაწილეობდნენ II საერთაშორისო სტუდენტური ოლიმპიადის მონაწილენი. საზაფხულო სკოლაში სტუდენტები მოავლინა სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტმა.

საზაფხულო სკოლაში ლექციები წაიკითხეს - კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრის ხელმძღვანელმა, პროფესორ-ემირიტუსმა ავთანდილ დემეტრაშვილმა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ პეტრე ზამბახიძემ და ღონისძიებაში მონაწილე სახელმწიფოთა დელეგაციების ხელმძღვანელებმა.



საქართველო



ავთანდილ დემეტრაშვილი - კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორ-ემირიტუსი.
თემა - „საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის დილემები“



პეტრე ზამბახიძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.
თემა - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი საქართველოში“



აზერბაიჯანი



პროფესორი ელზად ნასიროვი - ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტი.
თემა - „საარჩევნო კანონმდებლობის ფორმირება და განვითარება აზერბაიჯანის რესპუბლიკაში დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ“



ბულგარეთი



პროფესორი გიორგი ბლიზნაშკი - სოფიის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
თემა - „ხელისუფლების რეგულირების საკითხები ბულგარეთში“



მოლდოვა

პროფესორი გიორგი ავორნიკი - კიშინიოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
თემა - „მოლდოვის რესპუბლიკის სახელმწიფო აპარატი: მეცნიერულ-შედარებითი ანალიზი“



რუსეთი



ბადრი ნაკაშიძე - მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
თემა - „თანამედროვე რუსეთის ტერიტორიული მოწყობის ზოგიერთი კონსტიტუციურ-სამართლებრივი ასპექტი“



სომხეთი



ჯეკ ვაჰან ბურნაზიანი - ამერიკული უნივერსიტეტი სომხეთში.
თემა - „თანასწორობის შეფასება: კონსტიტუციონალიზმი, საზოგადოებრივი თანხმობა და პირადი უფლებები“



უკრაინაში



მარინა მიხროვსკა - ტ. შევჩენკოს სახელობის კიევის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
თემა - „უკრაინაში აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა რეფორმირების ადმინისტრაციულ-სამართლებრივი რეგულირება“

ყოველი კონკრეტული თემის გარშემო გაიმართა დებატები.

საზაფხულო სკოლის მონაწილეებმა სასწავლო პროგრამისგან თავისუფალ დროს დაათვალიერეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ღირსშესანიშნაობები, ბათუმის დელფინარიუმი, გაისეირნეს გემით და ეწვივნენ იუსტიციის სახლს, სადაც გადაეცათ საქართველოს მოქალაქის სიმბოლური პასპორტები.